სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

46502981945019

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N190798474

რეგისტრაციის თარიღი

08.07.2019 წ

ნოტარიუსი: ნინო ხოფერია
მისამართი: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. 28/2
ტელეფონი: +995 32 2 98 70 24

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

დღეს, ორიათას ცხრამეტი წლის რვა ივლისს , მე, ნოტარიუს ნინო ხოფერიას, სანოტარო ბიუროში მდებარე: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. #28\2; მომმართა შპს ,,ლაღიძე პლაზა,,-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405245113) დირექტორმა ივანე ოქროპირიძემ (დაბ. 30.11.1978წ. მცხ. საქართველო, ქალაქი თბილისი, ლვოვის ქუჩა, N 51. პირადი #01024011710) თანახმად ამონაწერისა სამეწარმეო რეესტრიდან მომზადებული 22/12/2017წ. რომელმაც განაცხადა, რომ სურს მინდობილობის შედგენა მარიამ პაპუკაშვილის (დაბ.10.08.1992წ. მცხ. ქალაქი თბილისი, თენგიზ აბულაძის ქუჩა, N 9, ბინა 3, პ/ნ 01008044858) მიმართ, რათა იგი იყოს შპს ,,ლაღიძე პლაზა,,-ს წარმომადგენელი სახელმწიფო და ადმინისტრაციულ ორგანოებში, მერიაში,მერიის არქიტექტურის სამსახურში, სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში“, გამგეობაში, აწარმოოს მშენებლობა საზოგადოების საკუთრებაში არსებულ ნებისმიერ უძრავ ქონებაზე, საზოგადოების სახელით მიიღოს ნებისმიერ უძრავ ქონებაზე, მშენებლობის ნებართვა/ები, მოახდინოს განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცება, საჭირო ორგანოებში მოახდინოს სამშენებლო პროექტების შეთანხმება, საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს ცვლილებები დამტკიცებულ პროექტებში, მოახდინოს პროექტის კრექტირება, მიიღოს და წარადგინოს დოკუმენტები ზემოთ აღნიშნულ ორგანოებში, გასცეს თანხმობები, ხელი მოაწეროს და აწარმოოს ყველა ის მოქმედება რაც საჭირო გახდება აღნიშნული დავალებების განსახორციელებლად.

მინდობილობა გაცემულია ხუთი წლის ვადით

მე, ნოტარიუსმა, შევამოწმე მხარის ქმედუნარიანობა/უფლებამოსილება და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში/უფლებამოსილებაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. პირადობა დავადგინე პირადობის დამადასტურებებელი საბუთების საფუძველზე, დავადგინე მისი ნების გამოხატვის ნამდვილობა და შევადგინე მინდობილობის ტექსტი, რომელიც მხარეს წაეკითხა ხმამაღლა ჩემს მიერ ქართულ ენაზე, მხარეს გავაცანი აღნიშნული მოქმედების შესაბამისი სამოქალაქო კოდექსის ნორმები. რაზედაც მან განაცხადა, რომ ტექსტი ზუსტად გამოხატავს მის ნებას და შემდეგ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი აღნიშნულ მინდობილობას.

მინდობილობა შედგენილია ორ ეგზემპლარად, ერთი ეგზემპლარი რჩება ნოტარიუს ნინო ხოფერიას არქივში რომელსაც თან ერთვის შპს ,,ლაღიძე პლაზა,,-ს ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, მეორე ეგზემპლარი გადაეცა მხარეს.

სანოტარო საზღაური - 10 (ათი) ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ 2011წ. 29.12. #507 მთავრობის დადგენილების მუხლი 31-სა, პ.7, აგრეთვე დღგ (18%) საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის საფუძველზე და 2 (ორი) ლარი დღგ-ს ჩათვლით, სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ 39-ე პ.1 მუხლის შესაბამისად. სულ გადახდილია 13.80 (ცამეტი ლარი და ოთხმოცი) თეთრი.

მხარე: ----------

ნოტარიუსი: /ნ. ხოფერია/

ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. # 28/2

ნოტარიუსი ნინო ხოფერია * 01008006210 * NOTARY NINO KHOPERIA * GEORGIA